მედიცინის ფაკულტეტზე
მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამაში განხორციელებული ბოლო ცვლილებები

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №მ11-23, 06.09.2023

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით:

დადგენილება №26, 14.09.2023

განათლების საფეხური: ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური, ძირითადი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0912 მედიცინა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი / Medical Doctor (MD)

სწავლის ხანგრძლივობა: 6 წელი (12 სემესტრი)

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 360 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:

ზაზა ავალიანი, პროფ. დოქტ. ელ.ფოსტა: avaliani.zaza@eu.edu.ge

თინათინ გოგნაძე, პროფ. დოქტ. ელ.ფოსტა: tinatin.gognadze@eu.edu.ge

პროგრამის აქტუალობა

სამედიცინო საქმე არის ჯანდაცვის სფეროს უმნიშვნელოვანესი მიმართულება, რომელიც ეხება ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას. თანამედროვე მედიცინის ერთ–ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება პაციენტთა უსაფრთხოება, შესაბამისად, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება უპირველეს ამოცანად გვესახება. თანამედროვე მედიცინის ერთ–ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს პაციენტთა უსაფრთხოება. შესაბამისად, დღეს აქტუალურია პრევენციისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, რისთვისაც საჭიროა მაღალკვალიფიციური კადრების არსებობა, ვინაიდან სამედიცინო კადრების დღევანდელი ბაზარი განიცდის შესაბამისი სპეციალისტების დეფიციტს. თანამედროვე, სწრაფად განვითარებადი მაღალტექნოლოგიური კვლევისა თუ მკურნალობის საშუალებები და სწრაფად განახლებადი სამედიცინო ცოდნა იწვევს

დაავადების საწყის ეტაპზე გამოვლენილ პათოლოგიათა რაოდენობისა და მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდას.

„დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის აქტუალობას ზრდის სახელმწიფო დონეზე გამართული ჯანდაცვის სისტემის არსებობის მნიშვნელობა“. COVID პანდემიამ ახალი გამოწვევები წარმოშვა ჯანდაცვის სექტორში და ხაზი გაუსვა ჯანდაცვის სფეროში ეფექტური მართვის სუსტ მხარეებს. ხშირ შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულებებში და სარეაბილიტაციო ცენტრებში დასაქმებულ სპეციალისტებს აკლიათ თანამედროვე ცოდნა და გამოცდილება, რაც შესაბამისად აისახება პაციენტის კვალიფიციურ მომსახურებასა და ხარისხზე. პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ აკადემიური განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ხარისხის ამაღლებითა და ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება:

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ევროპის უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია ჩააბაროს შემდეგი საგნები:

ა) ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა/რუსული ენა/ფრანგული ენა/გერმანული ენა, ბიოლოგია.

ბ) ერთ-ერთი შემდეგი საგანი: ქიმია/მათემატიკა/ფიზიკა. საგნებისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 30%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოიპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის მიზნები

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი პროფესიონალის მომზადებას, რომელიც: ფლობს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს (1); ხელმძღვანელობს მტკიცებითი მედიცინის პრინციპებით (2); იყენებს კვლევისა და კომუნიკაციის უნარებს (3); იზიარებს ეთიკის ნორმებსა და პრინციპებს (4); პროფესიულად ვითარდება მუდმივად ცვალებად გარემოში (5).

სწავლის შედეგები

1. დარგობრივი ცოდნა	• სიღრმისეულად იცის ბიოსამედიცინო, ქცევითი, კლინიკური და სოციალური დისციპლინები; • აღწერს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრინციპებს; • აღწერს ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ავადობის პრევენციას; • აღწერს სამედიცინო პრაქტიკის ეთიკურ და ლეგალურ პრინციპებს; • აანალიზებს ექიმის როლს ჯანდაცვის სისტემაში.
2. პაციენტისათვის კონსულტაციის გაწევა	• კრებს ანამნეზს; • ატარებს ფიზიკურ გამოკვლევას; • აფასებს პაციენტის ფსიქოემოციური მდგომარეობის სტატუსს; • იღებს ვალიდურ კლინიკურ გადაწყვეტილებებს; • აძლევს პაციენტებს რჩევებს და განმარტებებს, აღმოუჩენს მათ მხარდაჭერას.
3. კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოზის გატარება, დაავადების მართვის	• აფასებს დაავადების კლინიკური მანიფესტაციის სირთულეს, ახდენს მათ იდენტიფიცირებას; • ნიშნავს შესაბამის გამოკვლევებს, ახდენს შედეგების ინტერპრეტაციას; • ატარებს დიფერენციულ დიაგნოზს; • განიხილავს დაავადების მართვის გეგმას პაციენტებსა და მათ მომვლელებთან;

გეგმის შესახებ მსჯელობა	• ადგენს პაციენტის მდგომარეობის მართვის გეგმას, პაციენტთან და მის გარემოცვასთან კოლაბორაციით; • ზრუნავს ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტსა და მის გარემოცვაზე; • მართავს ქრონიკულ დაავადებებს.
4. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებების გატარება)	• ახდენს გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების ამოცნობას და შეფასებას; • უწევს ბაზისურ პირველად დახმარებას, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით (ბავშვებს, ხანდაზმულებს); • ანხორციელებს ბაზისურ სიცოცხლის შემანარჩუნებელ ღონისძიებებს აქტუალური სახელმძღვანელო პრინციპების (გაიდლაინების) შესაბამისად; • ატარებს აქტუალური სახელმძღვანელო პრინციპების (გაიდლაინების) შესაბამის გაფართოებულ სიცოცხლისშემანარჩუნებელ ღონისძიებებს; • მკურნალობს ტრავმებს აქტუალური გაიდლაინების შესაბამისად.
5. მედიკამენტების გამოწერა	• ნიშნავს მედიკამენტებს ნათლად და მართებულად, პაციენტის ასაკის გათვალისწინებით; • არჩევს წამლებს კლინიკურ კონტექსტთან შესაბამისად; • აფასებს პოტენციური სარგებლისა და რისკის მიხედვით მედიკამენტებისა და სხვა მკურნალობების შესაბამისობას; • მართავს ტკივილს და დისტრესს; • მკურნალობის დანიშვნისას აანალიზებს მედიკამენტების თავსებადობასა და ურთიერთქმედებას.
6. პრაქტიკული პროცედურების ჩატარება	• აფასებს სასიცოცხლო ნიშნებს: პულსს, სუნთქვას, ტემპერატურას; • ზომავს წნევას; • ზომავს სატურაციას; • სწორად იბანს ხელს; სწორად იცვამს ხელთათმანს; • აკეთებს პერიფერიული ვენის ვენოპუნქტურას (სიმულატორის გამოყენებით); • აკეთებს პერიფერიული ვენის კათეტერიზაციას (სიმულატორის გამოყენებით);

	• აკეთებს სამკურნალო საშუალების ვენაში შეყვანას საინფუზიო მოწყობილობის საშუალებით (სიმულატორის გამოყენებით) • აკეთებს ინექციას კანქვეშ ან/და კუნთში (სიმულატორის გამოყენებით ან პაციენტზე, ზედამხედველობის ქვეშ); • აწვდის ჟანგბადს; • აღწერს პაციენტის ტრანსპორტირების და მათთან მოპყრობის ტექნიკას; • ადებს ნაკერს (სიმულატორის გამოყენებით); • ამუშავებს ჭრილობას და ადებს ნახვევს; • აკეთებს შარდის ბუშტის კათეტერიზაციას (სიმულატორის გამოყენებით); • აღწერს შარდის ანალიზის აღების ტექნიკას; • იღებს ელექტროკარდიოგრამას; • ახდენს ელექტროკარდიოგრამის ინტერპრეტაციას; • ატარებს სასუნთქი სისტემის ფუნქციურ ტესტებს; • სწორად იყენებს საინჰალაციო პრეპარატებს.
7. ეფექტური კომუნიკაცია სამედიცინო კონტექსტში	• ეფექტურად ამყარებს კომუნიკაციას პაციენტთან; • ეფექტურად ამყარებს კომუნიკაციას კოლეგებთან; • ეფექტურად ახორციელებს კომუნიკაციას ცუდი ამბის შეტყობინებისას; • ეფექტურად ამყარებს კომუნიკაციას პაციენტის გარემოცვასთან; • ეფექტურად ახორციელებს კომუნიკაციას შეზღუდული უნარების მქონე პირებთან; • ეფექტურად ახორციელებს კომუნიკაციას ინფორმირებული თანხმობის მიღების მიზნით; • აწარმოებს წერილობით კომუნიკაციას (მათ შორის სამედიცინო ჩანაწერების წარმოება); • უმკლავდება აგრესიულ და კონფლიქტურ სიტუაციებს შესაბამისი კომუნიკაციის საშუალებით; • ეფექტურად ახორციელებს კომუნიკაციას პაციენტებთან დამხმარე პირის საშუალებით; • საჭიროებისამებრ ამყარებს სათანადო კომუნიკაციას სამართალდამცავ ორგანოებსა და მასმედიასთან;

	• ამყარებს კომუნიკაციას ნებისმიერ პირთან, მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად.
8. სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება	• იცავს კონფიდენციალურობას; • მკურნალობის დროს იყენებს ეთიკურ პრინციპებსა და ანალიტიკურ უნარებს; • ახდენს ინფორმირებული თანხმობის მიღებას საჭიროების შემთხვევაში და აკეთებს შესაბამის ჩანაწერს; • გასცემს სიკვდილის ცნობას; • საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ითხოვს ავტოფსიის ჩატარებას; • მკურნალობისას იყენებს საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის მოქმედ ნორმებს; • ეფექტურად წარმართავს სამედიცინო საქმიანობას მულტიკულტურულ საზოგადოებაში.
9. პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება	• აფასებს დაავადების გამოვლინებისა და მისი პაციენტზე ზემოქმედების ფსიქოლოგიურ ფაქტორებს; • აფასებს დაავადების გამოვლინებისა და მისი პაციენტზე ზემოქმედების სოციალურ ფაქტორებს; • ადგენს დაავადებასთან დაკავშირებულ სტრესს; • ადგენს წამალსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულებას.
10.მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება	• იყენებს მტკიცებულებებს საექიმო საქმიანობაში; • სწორად განსაზღვრავს და ატარებს ლიტერატურულ კვლევას; • კრიტიკულად აფასებს გამოქვეყნებულ ლიტერატურას. სწორად გამოაქვს დასკვნები და იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.
11. სამედიცინო კონტექსტში უახლესი ინფორმაციისა და საინფორმაციო	• სათანადოდ აწარმოებს კლინიკურ ჩანაწერებს და ინახავს სრული სახით; • იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს სამედიცინო პრაქტიკის ფარგლებში; • ახდენს სპეციფიკური საინფორმაციო რესურსების მოძიებას; • ახდენს ინფორმაციის შენახვას და იყენებს შემდგომში შესაბამისად;

ტექნოლოგიების გამოყენება	• სათანადოდ აწარმოებს და იყენებს პირად ჩანაწერებს.
12. სამეცნიერო საქმიანობის პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში	• სათანადოდ იყენებს სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიას; • შეიმუშავებს კვლევის დიზაინს, გეგმავს დეტალურად, ამუშავებს მიღებულ შედეგებს და აკეთებს დასკვნებს; • იყენებს ბიოსამედიცინო მეცნიერებების მიღწევებს პრაქტიკულ საქმიანობაში; • აკადემიურ დონეზე წერს მიმოხილვებს/მოხსენებებს ბიოსამედიცინო სფეროში არსებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე; • იყენებს სამეცნიერო კვლევის წარმოების ეთიკურ პრინციპებს.
13.ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართულობა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტურად მუშაობა	• ირჩევს მკურნალობას პაციენტისათვის ზიანის მიყენების მინიმალური რისკით; • იღებს სათანადო ზომებს ინფექციის გავრცელების პრევენციისათვის; • ადეკვატურად აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემებს პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებაში; • აანალიზებს ჯანდაცვის ხელშემწყობ ღონისძიებებში ჩართულობის მნიშვნელობას ინდივიდისა და პოპულაციის დონეზე.
14. პროფესიონალიზმი	პროფესიონალიზმის ზოგადი მასახასიათებლები: • იცავს მიუკერძოებელობის, კეთილსინდისიერების და ეთიკის პრინციპებს; • ანხორციელებს სამედიცინო საქმიანობას სათანადო ხარისხით; • გამოხატავს კრიტიკულ და თვით-კრიტიკულ დამოკიდებულებას, იღებს კრიტიკას; • გამოხატავს ემპათიას (თანაგრძნობა); • ავლენს კრეატიულობას; • ავლენს ინიციატივას, გამოხატავს წარმატებულობის სურვილს; • ახდენს ცოდნის მუდმივი განახლების უნარის დემონსტრირებას;

	• ავლენს ინტერპერსონალურ უნარებს; • ახდენს ჯგუფური მუშაობის უნარის დემონსტრირებას. პროფესიონალიზმი საქმიანობაში: • აანალიზებს საკუთარი შესაძლებლობების საზღვრებს ითხოვს დახმარებას (საჭიროებისამებრ); • ავლენს ლიდერობის უნარს; • მოქმედებს დამოუკიდებლად საჭიროებისამებრ; • ჭრის პრობლემებს; • იღებს გადაწყვეტილებებს; • მუშაობს მულტიდისციპლინურ გუნდში; • ამყარებს კომუნიკაციას სხვა დისციპლინების ექსპერტებთან; • ადაპტირდება ახალ სიტუაციებთან; • გეგმავს და მართავს ორგანიზაციულ პროცესებს, ეფექტურად მართავს დროს. ექიმი, როგორც ექსპერტი: • აანალიზებს და გამოაქვს დასკვნა; • ახდენს სწავლის და სხვისი სწავლების უნარების დემონსტრირებას; • ახდენს ცოდნის დემოსნსტრირებას პრაქტიკულ საქმიანობაში; • ავლენს სამეცნიერო-კვლევით უნარებს; ექიმი გლობალურ კონტექსტში: • აქვს უნარი იმუშაოს მულტიკულტურულ საზოგადოებაში გააცნობიეროს მათი მრავალფეროვნება; • ახდენს სხვა ქვეყნების კულტურისა და მასთან დაკავშირებული თავისებურებების მიმართ პატივისცემის დემონსტრირებას; • მუშაობს საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით; • ფლობს მეორე ენას; • აქვს ზოგადი ცოდნა, სამედიცინო სფეროს მიღმა.

პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა

პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 6 აკადემიურ წელს ანუ 12 სემესტრს და მოიცავს 360 კრედიტს 10800 საათს ჯამში).

1 კრედიტი მოიცავს 30 ასტრონომიულ საათს.

კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 900 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით. პროგრამის დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ აღემატება 15 კრედიტს.

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია. ინტეგრირებული პროგრამის ძირითადი მახასიათებელია საბაზისო და კლინიკური საგნების ვერტიკალური და/ან ჰორიზონტალური ინტეგრაცია.

ვერტიკალური ინტეგრაცია გულისხმობს საბაზისო და კლინიკური საგნების გაერთიანებას ერთ კურიკულუმში სისტემის და/ან სინდრომის მიხედვით. ჰორიზონტალური ინტეგრაციისას გაერთიანება ეხება მომიჯნავე საგნებს საბაზისო ან კლინიკურ ასპექტში, როდესაც გაერთიანება ხდება ძირითადად სისტემის გარშემო. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სტუდენტისათვის არა მხოლოდ სტატიკური ცოდნის მიცემას, არამედ მოქნილი კლინიკური აზროვნების ჩამოყალიბებას. ინტეგრირებული და ნახევრად ინტეგრირებული პროგრამა ქმნის კურიკულუმს, რომელიც ეხმარება სტუდენტს კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებასა და თვითგანვითარების გზის განსაზღვრაში.

ინტეგრირებულ პროგრამაში ინფორმაციის სხვადასხვა წყაროები სხვადასხვა დომენებიდან იკვეთება გაერთიანებული კონცეფციის სასარგებლოდ. ეს კი, თავის მხრივ, ეხმარება სტუდენტს, გააერთიანოს სხვადასხვა წყაროდან მიღებული ცოდნა და უნარები რეალური კლინიკური სიტუაციის ჭრილში.

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში, ნაწილობრივი ინტეგრაციის ფარგლებში მოხდა მომიჯნავე ბაზისური სასწავლო კურსების გაერთიანება ადამიანის სხეულის სისტემების გარშემო. ამავე სასწავლო კურსებში ჩაიდო კლინიკური შემთხვევების წარდგენისა და ანალიზის ნაწილებიც, რაც ემსახურება სტუდენტისათვის განათლების პროცესის დასაწყისშივე რეალურ კლინიკურ პრაქტიკასთან დაახლოებას. კლინიკური სასწავლო კურსების გაერთიანება კი მოხდა ძირითადი მიმართულებების გარშემო, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის სისტემურ აზროვნებას კლინიკურ ასპექტში.

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ძრითადი სწავლის სფეროსა და თავისუფალ კომპონენტებს, კერძოდ:

- ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტებს 334 კრედიტის მოცულობით. მათ შორის:

  ა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტებს 324 კრედიტის მოცულობით (მათ შორის კვლევით კომპონენტს 10 კრედიტის მოცულობით, ხოლო 20 კრედიტი კლინიკური უნარების ცენტრში/ლაბორატორიაში სწავლებისთვის);

  ბ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს 10 კრედიტის მოცულობით;

- საგანმანათლებლო პროგრამა ასევე ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს 26 კრედიტის მოცულობით, მათ შორის:

  ა) სავალდებულო თავისუფალ კომპონენტს 16 კრედიტის მოცულობით, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე;

  ბ) არჩევით თავისუფალ კომპონენტს 10 კრედიტის მოცულობით, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე/თავისუფალ კომპონენტს 10 კრედიტის მოცულობით, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანთლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა იყოფა 4 ფაზად:

I ფაზა - ადამიანის ორგანიზმის სტრუქტურა და ფუნქციები (I-II კურსი)

მედიცინის საფუძვლების ფაზა მოიცავს ჰორიზონტალურ ინტეგრირებულ მოდულებს: ადამიანის სხეული I, II, III, IV - რომლებიც მოიცავს ძვალ-სახსროვანი, გულსისხლძარღვთა, რესპირატორული, საჭმლის მომნელებელი, ენდოკრინული და შარდ-სასქესო სისტემის ანატომიის, ფიზიოლოგიისა და რადიოლოგიის საკითხებს და სტუდენტს აძლევს ცოდნას აღნიშნული სისტემების აგებულების, ფუნქციონირების და რადიოლოგიური სურათის შესახებ. გენი, უჯრედი და ქსოვილი I, II, III, IV - ინტეგრირებულია სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები: ბიოქიმია, უჯრედული ბიოლოგია, ჰისტოლოგია/ემბრიოლოგია, ბიოფიზიკა, იმუნოლოგია და მიკრობიოლოგია. კლინიკური და პროფესიული უნარები I, II, III, IV - მოდულების ფარგლებში პროგრამის პირველივე სემესტრიდან გათვალისწინებულია კლინიკური პრაქტიკა, პაციენტთან კომუნიკაციის გაცნობითა და პრაქტიკული უნარების შესწავლით. ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში მედიცინა და საზოგადოება I, II და სამეცნიერო მსჯელობა I, II სტუდენტი პირველივე ფაზაში ეცნობა საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სამეცნიერო კვლევითი უნარების საფუძვლებს. აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლება განხორციელდება სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდებით და აქტივობებით (ლექციები, PBL, როლური თამაშები, პრაქტიკული მუშაობა, სიმულაციურ ლაბორატორიაში მუშაობა და სხვ.). რეგიონულ ანატომიას სტუდენტები შეისწავლიან ვირტუალური დისექციის და მანეკენების გამოყენების მეშვეობით.

II ფაზა - ჯანმრთელობის და ავადობის მექანიზმები (III კურსი)

პრეკლინიკური სწავლების ეტაპზე ძირითადი ყურადღება ეთმობა ადამიანის ავადობასთან დაკავშირებული ისეთი ასპექტების განხილვას, როგორიცაა პათოლოგია, დაავადებათა განვითარებისა და მკურნალობის მექანიზმები. ამასთან, სტუდენტები სწავლობენ დიაგნოსტიკურ აზროვნებას სხვადასხვა სამედიცინო მიმართულებით შემთხვევების განხილვის გზით და სრულყოფენ

ფიზიკური გასინჯვის უნარებს ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში: დაავადებისა და მკურნალობის საფუძვლები I, II (პათოლოგიის საფუძვლები, ფარმაკოლოგიის საფუძვლები). კლინიკური დიაგნოსტიკის შესავალი I, II - ფიზიკური დიაგნოსტიკა, კლინიკური უნარები. ამავე ფაზაში სტუდენტი ეუფლება ნეიროანატომიას, ნეიროფიზიოლოგიასა და ქცევათმეცნიერებას ინტეგრირებულ მოდულში ტვინი, გონება და ქცევა. მიღებული ცოდნა ამზადებს სტუდენტებს კლინიკური საგნების სრულფასოვნად აღქმისაკენ, რომლებიც პროგრამაში შემდეგი წლიდან იწყება. კლინიკური და პროფესიული უნარების გრძივი მოდულის ფარგლებში სტუდენტები ერთვებიან კლინიკური პრობლების გადაჭრის პროცესში, რაც თავის მხრივ ხორციელდება სხვადასხვა კლინიკური სცენარების გზით (კლინიკური აზროვნების კურსი). აღნიშნული მეთოდით ძირითადი აქცენტი კეთდება სტუდენტების მიერ ინფორმაციის სიღრმისეულ ანალიზსა და სინთეზზე, ასევე მის პრაქტიკულ გამოყენებაზე კლინიკურ კონტექსტში.

III ფაზა - ძირითადი კლინიკური ფაზა (IV-V კურსი)

IV და V კურსების განმავლობაში სტუდენტები სწავლობენ კლინიკური როტაციების სახით ძირითად კლინიკურ საგნებს - შინაგანი მედიცინა (სისტემაზე დაფუძნებული), ქირურგია, მეანობა და გინეკოლოგია, გადაუდებელი მედიცინა, პედიატრია, ფსიქიატრია, რადიოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია და სხვ. ამის პარალელურად, სტუდენტები აგრძელებენ კლინიკურ და პროფესიული უნარების შესწავლას, რომელიც მოიცავს პროფესიული ქცევის სრულყოფას სიმულაციურ ცენტრსა და კლინიკურ გარემოში. აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლება ხდება როგორც ამბულატორიულ, ასევე კლინიკურ გარემოში.

IV ფაზა - კლინიკური ფაზის დასკვნითი საფეხური (VI კურსი)

VI, დამამთავრებელი კურსის განმავლობაში, სტუდენტები განამტიცებენ და სრულყოფენ კომპეტენციებს შინაგან მედიცინაში, ქირურგიაში, მეანობა-გინეკოლოგიაში, ინფექციურ სნეულებებში, საოჯახო მედიცინაში, გერიატრიაში, პედიატრიასა და გადუდებელ მედიცინაში. სპირალური კურიკულუმის მოთხოვნებისა და ინტეგრაციის პრინციპების თანახმად, დამამთავრებელი კურსების მოდულების ფარგლებში ხდება საბაზისო საგნების (მაგ: ფარმაკოლოგია და სამედიცინო გენეტიკა) გადახედვა. ამავე კურსის ფარგლებში, სტუდენტების მცირე ჯგუფს ეძლევა სხვადასხვა ამბულატორიული და ჰოსპიტალური კლინიკური დავალება, რომელთა შესრულებაც ამზადებს დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს მომავალი სპეციალიზაციისა და დიპლომისშემდგომი სარეზიდენტო პროგრამისათვის.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შეფასების ფორმებით, შუალედური შეფასებით და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

საბოლოო შეფასებაში დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილია 40% (40 ქულა), შესაბამისად, შუალედური შეფასების ხვედრითი წილია საბოლოო შეფასების 60% (60 ქულა).

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება მე-8-9 კვირაში (კურაციული სწავლების დროს შუალედური გამოცდის პერიოდი დაკონკრეტებულია შესაბამის სასწავლო კურსის სილაბუსში). შუალედური შეფასების კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 50% (დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტის შუალედური შეფასება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 30 ქულას), დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%+1

(იმისათვის, რომ დასკვნითი გამოცდა ჩაითვალოს ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის შეფასება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 21 ქულას).

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით მიიღება 51 ქულა ან მეტი.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი ინტეგრირებული სასწავლო კურსების შემთხვევაში უფლებამოსილია ამავე სასწავლო კურსის შემადგენელ თოთოეულ კომპონენტს დაუდგინოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ამ შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეული კომპონენტისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის, სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

დასაქმების სფერო

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათებლო პროგრამის კურსდამთავრებულს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მოპოვების შემთხვევაში უფლება აქვს განახორციელოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა (საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, მუხლი 7).

საექიმო საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად (მუხლი 17) უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე კურსდამთავრებულს უფლება აქვს განახორცილეოს შემდეგი საქმიანობა:

ა) გაიაროს უმაღლესის შემდგომი პროფესიული მზადების კურსი და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება;

ბ) განახორციელოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა მედიცინის თეორიულ დარგებში ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას;

გ) იმუშაოს უმცროს ექიმად.

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამაში განხორციელებული ბოლო ცვლილებები

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №მ11-23, 06.09.2023

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით:

დადგენილება №25, 14.09.2023

განათლების საფეხური: ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

სწავლების ენა: ინგლისური

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0912 მედიცინა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი / Medical Doctor (MD)

სწავლის ხანგრძლივობა: 6 წელი (12 სემესტრი)

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 360 კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:

ზაზა ავალიანი, პროფ. დოქტ. ელ.ფოსტა: avaliani.zaza@eu.edu.ge

თინათინ გოგნაძე, პროფ. დოქტ. ელ. ფოსტა: tinatin.gognadze@eu.edu.ge

პროგრამის აქტუალობა

დიპლომირებული მედიკოსის პროფესია ჯანდაცვის სფეროს უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რომელიც ეხება ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას. თანამედროვე მედიცინის ერთ–ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს პაციენტთა უსაფრთხოება. შესაბამისად, დღეს აქტუალურია პრევენციისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, რისთვისაც საჭიროა მაღალკვალიფიციური კადრების არსებობა, ვინაიდან სამედიცინო კადრების დღევანდელი ბაზარი განიცდის შესაბამისი სპეციალისტების დეფიციტს.

თანამედროვე, სწრაფად განვითარებადი მაღალტექნოლოგიური კვლევისა თუ მკურნალობის საშუალებები და სწრაფად განახლებადი სამედიცინო ცოდნა იწვევს დაავადების საწყის ეტაპზე გამოვლენილ პათოლოგიათა რაოდენობისა და მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდას.

ხშირ შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულებებში და სარეაბილიტაციო ცენტრებში დასაქმებულ სპეციალისტებს აკლიათ თანამედროვე ცოდნა და გამოცდილება, რაც შესაბამისად აისახება პაციენტის

კვალიფიციურ მომსახურებასა და ხარისხზე. პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ აკადემიური განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ხარისხის ამაღლებითა და ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება:

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ევროპის უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია ჩააბაროს შემდეგი საგნები:

ა) ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა (მინიმალური ბარიერი 80%), ბიოლოგია.

ბ) ერთ-ერთი შემდეგი საგანი: ქიმია/მათემატიკა/ფიზიკა. საგნებისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 30%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვება:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ინგლისური ენის მინიმუმ B1 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიონალის მომზადება (1), რომელიც შეძლებს პრაქტიკაში დაეყრდნოს მტკიცებითი მედიცინის პრინციპებს (2),

კვალიფიციურად გამოიყენოს კვლევითი, ეთიკური და კომუნიკაციური უნარები (3), შეძლოს თავი დაიმკვიდროს და პროფესიულად განვითარდეს მუდმივად ცვალებად გარემოში (4).

სწავლის შედეგები	
1. დარგობრივი ცოდნა	• სიღრმისეულად იცის ბიოსამედიცინო, ქცევითი, კლინიკური და სოციალური დისციპლინები; • აღწერს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრინციპებს; • აღწერს ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ავადობის პრევენციას; • აღწერს სამედიცინო პრაქტიკის ეთიკურ და ლეგალურ პრინციპებს; • აანალიზებს ექიმის როლს ჯანდაცვის სისტემაში.
2. პაციენტისათვის კონსულტაციის გაწევა	• კრებს ანამნეზს; • ატარებს ფიზიკურ გამოკვლევას; • აფასებს პაციენტის ფსიქოემოციური მდგომარეობის სტატუსს; • იღებს ვალიდურ კლინიკურ გადაწყვეტილებებს; • აძლევს პაციენტებს რჩევებს და განმარტებებს, აღმოუჩენს მათ მხარდაჭერას.
3. კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოზის გატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა	• აფასებს დაავადების კლინიკური მანიფესტაციის სირთულეს, ახდენს მათ იდენტიფიცირებას; • ნიშნავს შესაბამის გამოკვლევებს, ახდენს შედეგების ინტერპრეტაციას; • ატარებს დიფერენციულ დიაგნოზს; • განიხილავს დაავადების მართვის გეგმას პაციენტებსა და მათ მომვლელებთან; • ადგენს პაციენტის მდგომარეობის მართვის გეგმას, პაციენტთან და მის გარემოცვასთან კოლაბორაციით; • ზრუნავს ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტსა და მის გარემოცვაზე; • მართავს ქრონიკულ დაავადებებს.
4. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის დროს დახმარების გაწევა	• ახდენს გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების ამოცნობას და შეფასებას;

(პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებების გატარება)	• უწევს ბაზისურ პირველად დახმარებას, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით (ბავშვებს, ხანდაზმულებს); • ანხორციელებს ბაზისურ სიცოცხლის შემანარჩუნებელ ღონისძიებებს აქტუალური სახელმძღვანელო პრინციპების (გაიდლაინების) შესაბამისად; • ატარებს აქტუალური სახელმძღვანელო პრინციპების (გაიდლაინების) შესაბამის გაფართოებულ სიცოცხლისშემანარჩუნებელ ღონისძიებებს; • მკურნალობს ტრავმებს აქტუალური გაიდლაინების შესაბამისად.
5. მედიკამენტების გამოწერა	• ნიშნავს მედიკამენტებს ნათლად და მართებულად, პაციენტის ასაკის გათვალისწინებით; • არჩევს წამლებს კლინიკურ კონტექსტთან შესაბამისად; • აფასებს პოტენციური სარგებლისა და რისკის მიხედვით მედიკამენტებისა და სხვა მკურნალობების შესაბამისობას; • მართავს ტკივილს და დისტრესს; • მკურნალობის დანიშვნისას აანალიზებს მედიკამენტების თავსებადობასა და ურთიერთქმედებას.
6. პრაქტიკული პროცედურების ჩატარება	• აფასებს სასიცოცხლო ნიშნებს: პულსს, სუნთქვას, ტემპერატურას; • ზომავს წნევას; • ზომავს სატურაციას; • სწორად იბანს ხელს; სწორად იცვამს ხელთათმანს; • აკეთებს პერიფერიული ვენის ვენოპუნქტურას (სიმულატორის გამოყენებით); • აკეთებს პერიფერიული ვენის კათეტერიზაციას (სიმულატორის გამოყენებით); • აკეთებს სამკურნალო საშუალების ვენაში შეყვანას საინფუზიო მოწყობილობის საშუალებით (სიმულატორის გამოყენებით) • აკეთებს ინექციას კანქვეშ ან/და კუნთში (სიმულატორის გამოყენებით ან პაციენტზე, ზედამხედველობის ქვეშ); • აწვდის ჟანგბადს; • აღწერს პაციენტის ტრანსპორტირების და მათთან მოპყრობის ტექნიკას; • ადებს ნაკერს (სიმულატორის გამოყენებით);

	• ამუშავებს ჭრილობას და ადებს ნახვევს; • აკეთებს შარდის ბუშტის კათეტერიზაციას (სიმულატორის გამოყენებით); • აღწერს შარდის ანალიზის აღების ტექნიკას; • იღებს ელექტროკარდიოგრამას; • ახდენს ელექტროკარდიოგრამის ინტერპრეტაციას; • ატარებს სასუნთქი სისტემის ფუნქციურ ტესტებს; • სწორად იყენებს საინჰალაციო პრეპარატებს.
7. ეფექტური კომუნიკაცია სამედიცინო კონტექსტში	• ეფექტურად ამყარებს კომუნიკაციას პაციენტთან; • ეფექტურად ამყარებს კომუნიკაციას კოლეგებთან; • ეფექტურად ახორციელებს კომუნიკაციას ცუდი ამბის შეტყობინებისას; • ეფექტურად ამყარებს კომუნიკაციას პაციენტის გარემოცვასთან; • ეფექტურად ახორციელებს კომუნიკაციას შეზღუდული უნარების მქონე პირებთან; • ეფექტურად ახორციელებს კომუნიკაციას ინფორმირებული თანხმობის მიღების მიზნით; • აწარმოებს წერილობით კომუნიკაციას (მათ შორის სამედიცინო ჩანაწერების წარმოება); • უმკლავდება აგრესიულ და კონფლიქტურ სიტუაციებს შესაბამისი კომუნიკაციის საშუალებით; • ეფექტურად ახორციელებს კომუნიკაციას პაციენტებთან დამხმარე პირის საშუალებით; • საჭიროებისამებრ ამყარებს სათანადო კომუნიკაციას სამართალდამცავ ორგანოებსა და მასმედიასთან; • ამყარებს კომუნიკაციას ნებისმიერ პირთან, მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად.
8. სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება	• იცავს კონფიდენციალურობას; • მკურნალობის დროს იყენებს ეთიკურ პრინციპებსა და ანალიტიკურ უნარებს; • ახდენს ინფორმირებული თანხმობის მიღებას საჭიროების შემთხვევაში და აკეთებს შესაბამის ჩანაწერს; • გასცემს სიკვდილის ცნობას;

	• საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ითხოვს ავტოფსიის ჩატარებას; • მკურნალობისას იყენებს საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის მოქმედ ნორმებს; • ეფექტურად წარმართავს სამედიცინო საქმიანობას მულტიკულტურულ საზოგადოებაში.
9. პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება	• აფასებს დაავადების გამოვლინებისა და მისი პაციენტზე ზემოქმედების ფსიქოლოგიურ ფაქტორებს; • აფასებს დაავადების გამოვლინებისა და მისი პაციენტზე ზემოქმედების სოციალურ ფაქტორებს; • ადგენს დაავადებასთან დაკავშირებულ სტრესს; • ადგენს წამალსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულებას.
10.მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება	• იყენებს მტკიცებულებებს საექიმო საქმიანობაში; • სწორად განსაზღვრავს და ატარებს ლიტერატურულ კვლევას; • კრიტიკულად აფასებს გამოქვეყნებულ ლიტერატურას. სწორად გამოაქვს დასკვნები და იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.
11. სამედიცინო კონტექსტში უახლესი ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება	• სათანადოდ აწარმოებს კლინიკურ ჩანაწერებს და ინახავს სრული სახით; • იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს სამედიცინო პრაქტიკის ფარგლებში; • ახდენს სპეციფიკური საინფორმაციო რესურსების მოძიებას; • ახდენს ინფორმაციის შენახვას და იყენებს შემდგომში შესაბამისად; • სათანადოდ აწარმოებს და იყენებს პირად ჩანაწერებს.
12. სამეცნიერო საქმიანობის პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში	• სათანადოდ იყენებს სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიას; • შეიმუშავებს კვლევის დიზაინს, გეგმავს დეტალურად, ამუშავებს მიღებულ შედეგებს და აკეთებს დასკვნებს; • იყენებს ბიოსამედიცინო მეცნიერებების მიღწევებს პრაქტიკულ საქმიანობაში;

	• აკადემიურ დონეზე წერს მიმოხილვებს/მოხსენებებს ბიოსამედიცინო სფეროში არსებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე; • იყენებს სამეცნიერო კვლევის წარმოების ეთიკურ პრინციპებს.
13.ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართულობა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტურად მუშაობა	• ირჩევს მკურნალობას პაციენტისათვის ზიანის მიყენების მინიმალური რისკით; • იღებს სათანადო ზომებს ინფექციის გავრცელების პრევენციისათვის; • ადეკვატურად აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემებს პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებაში; • აანალიზებს ჯანდაცვის ხელშემწყობ ღონისძიებებში ჩართულობის მნიშვნელობას ინდივიდისა და პოპულაციის დონეზე.
14. პროფესიონალიზმი	პროფესიონალიზმის ზოგადი მასახასიათებლები: • იცავს მიუკერძოებელობის, კეთილსინდისიერების და ეთიკის პრინციპებს; • ანხორციელებს სამედიცინო საქმიანობას სათანადო ხარისხით; • გამოხატავს კრიტიკულ და თვით-კრიტიკულ დამოკიდებულებას, იღებს კრიტიკას; • გამოხატავს ემპათიას (თანაგრძნობა); • ავლენს კრეატიულობას; • ავლენს ინიციატივას, გამოხატავს წარმატებულობის სურვილს; • ახდენს ცოდნის მუდმივი განახლების უნარის დემონსტრირებას; • ავლენს ინტერპერსონალურ უნარებს; • ახდენს ჯგუფური მუშაობის უნარის დემონსტრირებას. პროფესიონალიზმი საქმიანობაში: • აანალიზებს საკუთარი შესაძლებლობების საზღვრებს ითხოვს დახმარებას (საჭიროებისამებრ); • ავლენს ლიდერობის უნარს; • მოქმედებს დამოუკიდებლად საჭიროებისამებრ;

	• ჭრის პრობლემებს; • იღებს გადაწყვეტილებებს; • მუშაობს მულტიდისციპლინურ გუნდში; • ამყარებს კომუნიკაციას სხვა დისციპლინების ექსპერტებთან; • ადაპტირდება ახალ სიტუაციებთან; • გეგმავს და მართავს ორგანიზაციულ პროცესებს, ეფექტურად მართავს დროს. ექიმი, როგორც ექსპერტი: • აანალიზებს და გამოაქვს დასკვნა; • ახდენს სწავლის და სხვისი სწავლების უნარების დემონსტრირებას; • ახდენს ცოდნის დემოსნსტრირებას პრაქტიკულ საქმიანობაში; • ავლენს სამეცნიერო-კვლევით უნარებს; ექიმი გლობალურ კონტექსტში: • აქვს უნარი იმუშაოს მულტიკულტურულ საზოგადოებაში გააცნობიეროს მათი მრავალფეროვნება; • ახდენს სხვა ქვეყნების კულტურისა და მასთან დაკავშირებული თავისებურებების მიმართ პატივისცემის დემონსტრირებას; • მუშაობს საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით; • ფლობს მეორე ენას; • აქვს ზოგადი ცოდნა, სამედიცინო სფეროს მიღმა.

პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა

პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 6 აკადემიურ წელს ანუ 12 სემესტრს და მოიცავს 360 კრედიტს 10800 საათს ჯამში).

1 კრედიტი მოიცავს 30 ასტრონომიულ საათს.

კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 900 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით. პროგრამის დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ აღემატება 15 კრედიტს.

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია. ინტეგრირებული პროგრამის ძირითადი მახასიათებელია საბაზისო და კლინიკური საგნების ვერტიკალური და/ან ჰორიზონტალური ინტეგრაცია.

ვერტიკალური ინტეგრაცია გულისხმობს საბაზისო და კლინიკური საგნების გაერთიანებას ერთ კურიკულუმში სისტემის და/ან სინდრომის მიხედვით. ჰორიზონტალური ინტეგრაციისას გაერთიანება ეხება მომიჯნავე საგნებს საბაზისო ან კლინიკურ ასპექტში, როდესაც გაერთიანება ხდება ძირითადად სისტემის გარშემო. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სტუდენტისათვის არა მხოლოდ სტატიკური ცოდნის მიცემას, არამედ მოქნილი კლინიკური აზროვნების ჩამოყალიბებას. ინტეგრირებული და ნახევრად ინტეგრირებული პროგრამა ქმნის კურიკულუმს, რომელიც ეხმარება სტუდენტს კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებასა და თვითგანვითარების გზის განსაზღვრაში.

ინტეგრირებულ პროგრამაში ინფორმაციის სხვადასხვა წყაროები სხვადასხვა დომენებიდან იკვეთება გაერთიანებული კონცეფციის სასარგებლოდ. ეს კი, თავის მხრივ, ეხმარება სტუდენტს, გააერთიანოს სხვადასხვა წყაროდან მიღებული ცოდნა და უნარები რეალური კლინიკური სიტუაციის ჭრილში.

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში, ნაწილობრივი ინტეგრაციის ფარგლებში მოხდა მომიჯნავე ბაზისური სასწავლო კურსების გაერთიანება ადამიანის სხეულის სისტემების გარშემო. ამავე სასწავლო კურსებში ჩაიდო კლინიკური შემთხვევების წარდგენისა და ანალიზის ნაწილებიც, რაც ემსახურება სტუდენტისათვის განათლების პროცესის დასაწყისშივე რეალურ კლინიკურ პრაქტიკასთან დაახლოებას. კლინიკური სასწავლო კურსების გაერთიანება კი მოხდა ძირითადი მიმართულებების გარშემო, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის სისტემურ აზროვნებას კლინიკურ ასპექტში.

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ძრითადი სწავლის სფეროსა და თავისუფალ კომპონენტებს, კერძოდ:

- ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტებს 334 კრედიტის მოცულობით. მათ შორის:

  ა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტებს 324 კრედიტის მოცულობით;

  ბ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს 10 კრედიტის მოცულობით;

- საგანმანათლებლო პროგრამა ასევე ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს 26 კრედიტის მოცულობით, მათ შორის:

  ა) სავალდებულო თავისუფალ კომპონენტს 12 კრედიტის მოცულობით, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე;

  ბ) არჩევით თავისუფალ კომპონენტს 14 კრედიტის მოცულობით, რომელიც ასევე ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე და რომლის არჩევაც

შესაძლებელია პროგრამაში შეთავაზებული სასწავლო კურსებიდან ან რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანთლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით.

სამედიცინო პროგრამა იყოფა 4 ფაზად:

I ფაზა - ადამიანის ორგანიზმის სტრუქტურა და ფუნქციები (I-II კურსი)

მედიცინის საფუძვლების ფაზა მოიცავს ჰორიზონტალურ ინტეგრირებულ მოდულებს: ადამიანის სხეული I, II, III, IV - რომლებიც მოიცავს ძვალ-სახსროვანი, გულსისხლძარღვთა, რესპირატორული, საჭმლის მომნელებელი, ენდოკრინული და შარდ-სასქესო სისტემის ანატომიის, ფიზიოლოგიისა და რადიოლოგიის საკითხებს და სტუდენტს აძლევს ცოდნას აღნიშნული სისტემების აგებულების, ფუნქციონირების და რადიოლოგიური სურათის შესახებ. გენი, უჯრედი და ქსოვილი I, II, III, IV - ინტეგრირებულია სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები: ბიოქიმია, უჯრედული ბიოლოგია, ჰისტოლოგია/ემბრიოლოგია, ბიოფიზიკა, იმუნოლოგია და მიკრობიოლოგია. კლინიკური და პროფესიული უნარები I, II, III, IV - მოდულების ფარგლებში პროგრამის პირველივე სემესტრიდან გათვალისწინებულია კლინიკური პრაქტიკა, პაციენტთან კომუნიკაციის გაცნობითა და პრაქტიკული უნარების შესწავლით. ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში მედიცინა და საზოგადოება I, II და სამეცნიერო მსჯელობა I, II სტუდენტი პირველივე ფაზაში ეცნობა საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სამეცნიერო კვლევითი უნარების საფუძვლებს. აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლება განხორციელდება სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდებით და აქტივობებით (ლექციები, PBL, როლური თამაშები, პრაქტიკული მუშაობა, სიმულაციურ ლაბორატორიაში მუშაობა და სხვ.). რეგიონულ ანატომიას სტუდენტები შეისწავლიან ვირტუალური დისექციის და მანეკენების გამოყენების მეშვეობით.

II ფაზა - ჯანმრთელობის და ავადობის მექანიზმები (III კურსი)

პრეკლინიკური სწავლების ეტაპზე ძირითადი ყურადღება ეთმობა ადამიანის ავადობასთან დაკავშირებული ისეთი ასპექტების განხილვას, როგორიცაა პათოლოგია, დაავადებათა განვითარებისა და მკურნალობის მექანიზმები. ამასთან, სტუდენტები სწავლობენ დიაგნოსტიკურ აზროვნებას სხვადასხვა სამედიცინო მიმართულებით შემთხვევების განხილვის გზით და სრულყოფენ ფიზიკური გასინჯვის უნარებს ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში: დაავადებისა და მკურნალობის საფუძვლები I, II (პათოლოგიის საფუძვლები, ფარმაკოლოგიის საფუძვლები). კლინიკური დიაგნოსტიკის შესავალი I, II - ფიზიკური დიაგნოსტიკა, კლინიკური უნარები. ამავე ფაზაში სტუდენტი ეუფლება ნეიროანატომიას, ნეიროფიზიოლოგიასა და ქცევათმეცნიერებას ინტეგრირებულ მოდულში ტვინი, გონება და ქცევა. მიღებული ცოდნა ამზადებს სტუდენტებს კლინიკური საგნების სრულფასოვნად აღქმისაკენ, რომლებიც პროგრამაში შემდეგი წლიდან იწყება. კლინიკური და პროფესიული უნარების გრძივი მოდულის ფარგლებში სტუდენტები ერთვებიან კლინიკური პრობლების გადაჭრის პროცესში, რაც თავის მხრივ ხორციელდება სხვადასხვა კლინიკური სცენარების გზით (კლინიკური აზროვნების კურსი). აღნიშნული მეთოდით ძირითადი აქცენტი კეთდება სტუდენტების მიერ ინფორმაციის სიღრმისეულ ანალიზსა და სინთეზზე, ასევე მის პრაქტიკულ გამოყენებაზე კლინიკურ კონტექსტში.

III ფაზა - ძირითადი კლინიკური როტაციები (IV-V კურსი)

IV და V კურსების განმავლობაში სტუდენტები სწავლობენ კლინიკური როტაციების სახით ძირითად კლინიკურ საგნებს - შინაგანი მედიცინა (სისტემაზე დაფუძნებული), ქირურგია, მეანობა და გინეკოლოგია, გადაუდებელი მედიცინა, პედიატრია, ფსიქიატრია, რადიოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია და სხვ. ამის პარალელურად, სტუდენტები აგრძელებენ კლინიკურ და პროფესიული უნარების შესწავლას, რომელიც მოიცავს პროფესიული ქცევის სრულყოფას სიმულაციურ ცენტრსა და კლინიკურ გარემოში. აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლება ხდება როგორც ამბულატორიულ, ასევე კლინიკურ გარემოში.

IV ფაზა - კლინიკური როტაციები - დასკვნითი საფეხური (VI კურსი)

VI, დამამთავრებელი კურსის განმავლობაში, სტუდენტები განამტიცებენ და სრულყოფენ კომპეტენციებს შინაგან მედიცინაში, ქირურგიაში, მეანობა-გინეკოლოგიაში, ინფექციურ სნეულებებში, საოჯახო მედიცინაში, გერიატრიაში, პედიატრიასა და გადუდებელ მედიცინაში. სპირალური კურიკულუმის მოთხოვნებისა და ინტეგრაციის პრინციპების თანახმად, დამამთავრებელი კურსების მოდულების ფარგლებში ხდება საბაზისო საგნების (მაგ: ფარმაკოლოგია და სამედიცინო გენეტიკა) გადახედვა. ამავე კურსის ფარგლებში, სტუდენტების მცირე ჯგუფს ეძლევა სხვადასხვა ამბულატორიული და ჰოსპიტალური კლინიკური დავალება, რომელთა შესრულებაც ამზადებს დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს მომავალი სპეციალიზაციისა და დიპლომისშემდგომი სარეზიდენტო პროგრამისათვის.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შეფასების კომპონენტებით, შუალედური შეფასებით და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

საბოლოო შეფასებაში დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილია 40% (40 ქულა), შესაბამისად, შუალედური შეფასების ხვედრითი წილია საბოლოო შეფასების 60% (60 ქულა).

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება მე-8-9 კვირაში (კურაციული სწავლების დროს შუალედური გამოცდის პერიოდი დაკონკრეტებულია შესაბამის სასწავლო კურსის სილაბუსში). შუალედური შეფასების კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 50% (დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტის შუალედური შეფასება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 30 ქულას), დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%+1 (იმისათვის, რომ დასკვნითი გამოცდა ჩაითვალოს ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის შეფასება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 21 ქულას).

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით მიიღება 51 ქულა ან მეტი.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი ინტეგრირებული სასწავლო კურსების შემთხვევაში უფლებამოსილია ამავე სასწავლო კურსის შემადგენელ თოთოეულ კომპონენტს

დაუდგინოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ამ შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეული კომპონენტისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის, სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

დასაქმების სფერო

ერთსაფეხურიანი საგანმანათებლო პროგრამის კურსდამთავრებულს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მოპოვების შემთხვევაში უფლება აქვს განახორციელოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა (საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, მუხლი 7).

საექიმო საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად (მუხლი 17) უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე კურსდამთავრებულს უფლება აქვს განახორცილეოს შემდეგი საქმიანობა:

ა) გაიაროს უმაღლესის შემდგომი პროფესიული მზადების კურსი და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება;

ბ) განახორციელოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა მედიცინის თეორიულ დარგებში ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას;

გ) იმუშაოს უმცროს ექიმად.

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამაში განხორციელებული ბოლო ცვლილებები

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №მ11-23, 06.09.2023

დამტკიცებულია მმართველოს საბჭოს გადაწყვეტილებით:

დადგენილება №28, 14.09.2023

განათლების საფეხური: ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური, ძირითადი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0911 დენტალური მედიცინა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული სტომატოლოგი / Doctor of Dental Medicine (DMD)

სწავლის ხანგრძლივობა: 5 წელი (10 სემესტრი)

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 300 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. დოქტ. სოფიო სამხარაძე, ელ. ფოსტა: sopho.samkharadze@eu.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი: ასისტ. პროფ. მარიკა ზურმუხტაშვილი, ელ. ფოსტა: marika.zurmukhtashvili@eu.edu.ge

პროგრამის აქტუალობა

დიპლომირებული ექიმი სტომატოლოგის პროფესია ჯანდაცვის სფეროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რომელიც ეხება ადამიანის პირის ღრუს ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას, ასევე ცხოვრების ხარისხის ამაღლებას. თანამედროვე მედიცინის ერთ–ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს პაციენტთა უსაფრთხოება. შესაბამისად, დღეს აქტუალურია პრევენციისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, რისთვისაც საჭიროა მაღალკვალიფიციური კადრების არსებობა, სამედიცინო კადრების დღევანდელი ბაზარი განიცდის შესაბამისი სპეციალისტების დეფიციტს.

თანამედროვე, სწრაფად განვითარებადი მაღალტექნოლოგიური კვლევისა თუ მკურნალობის საშუალებები და სწრაფად განახლებადი სამედიცინო ცოდნა იწვევს დაავადების საწყის ეტაპზე გამოვლენილ პათოლოგიათა რაოდენობისა და მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდას.

ხშირ შემთხვევაში სტომატოლოგიურ კლინიკებსა და კაბინეტებში დასაქმებულ სპეციალისტებს აკლიათ თანამედროვე ცოდნა და გამოცდილება, რაც შესაბამისად აისახება პაციენტის კვალიფიციურ მომსახურებასა და ხარისხზე. პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ აკადემიური განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ხარისხის ამაღლებითა და ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება:

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ევროპის უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია ჩააბაროს შემდეგი საგნები:

ა) ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა/გერმანული ენა/ფრანგული ენა/რუსული ენა, ბიოლოგია.

ბ) ერთ-ერთი შემდეგი საგანი: ქიმია/მათემატიკა/ფიზიკა. საგნებისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 30%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიონალი სტომატოლოგის მომზადება, რომელიც: ფლობს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს (1), რომელიც კვალიფიციურად გამოიყენებს კვლევით, ეთიკურ და კომუნიკაციურ უნარებს (2), პროფესიულად განვითარდება მუდმივად ცვალებად გარემოში (3).

სწავლის შედეგები

1	აღწერს ადამიანის ორგანიზმის სისტემებეს, მის შემადგენელ ერთეულებს, ქსოვილებს, მათ ურთიერთკავშირს, განვითარების თავისებურებებს და ფუნქციებს; განმარტავს ორგანიზმის ანატომიურ, ფიზიოლოგიურ თავისებურებებს და ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებს; განიხილავს ორგანიზმს, როგორც ერთიან სისტემას. ამოიცნობს და განასხვავებს ნორმისა და პათოლოგიის შემთხვევებს, განსაზღვრავს პათოლოგიების გამომწვევ მიზეზებს. ასახელებს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს და ხსნის მათი გატარების აუცილებლობასა და მნიშვნელობას.
2	განსაზღვრავს სტომატოლოგიური დანადგარების აგებულებას, ექსპლუატაციის წესებს, სამედიცინო და სტომატოლოგიური მასალების დანიშნულებას, ინსტრუმენტებს, იყენებს მათ. ირჩევს ასეპტიკის, ანტისეპტიკის მეთოდებს და ხსნის მათ მნიშვნელობას სანიტარული და ჰიგიენური ნორმების შენარჩუნებაში. იცავს ჰიგიენურ ნორმებს, ახდენს ნარჩენების მართვას/უტილიზაციას.
3	აღწერს კბილის რბილი და მაგარი ქსოვილების დაავადებების ეტიოლოგიას და პათოგენეზს. ახდენს დიაგნოზის ფორმულირებას, ასევე, დიფერენციალურ დიაგნოსტირებას, რის შედეგადაც, პაციენტის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, არჩევს და ახორციელებს ადეკვატურ, თანამედროვე პროფილაქტიკურ და სამკურნალო ღონისძიებებს.
4	ახდენს პაროდონტის ქსოვილისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებების ინტერპრეტაციას. განსაზღვრავს მათ დიაგნოზს, მათ შორის, დიფერენციალურ დიაგნოზს. აფასებს, ირჩევს და ატარებს თანამედროვე პროფილაქტიკურ და სამკურნალო მანიპულაციებს.
5	ახდენს ყბა-სახის მიდამოს ოდონტოგენური და არაოდონტოგენური ანთებითი დაავადებების, ასევე ნეოპლასტიური ცვლილებების და ტრავმული დაზიანებების შედარებას. რის საფუძველზეც ასაბუთებს კონსერვატიული, ქირურგიული, რეკონსტრუქციული ან აღდგენითი მკურნალობის საჭიროებებს.
6	ახდენს პირის ღრუს ქირურგიული დაავადებების კატეგორიზაციას. განსაზღვრავს ტრავმულ დაზიანებებს. ეტიოლოგიისა, პათოგენეზის და დიაგნოზის მიხედვით არჩევს შესაბამის მკურნალობის მეთოდებს.

7	ახდენს ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების ინტერპრეტაციას, მათ დიფერენცირებას და დიაგნოსტიკას, განსაზღვრავს ეტიოლოგიურ ფაქტორებს. მიღებული მონაცემების საფუძველზე ირჩევს ორთოდონტიული მკურნალობის ტაქტიკასა და შესაბამის ორთოდონტიულ მოწყობილობებს.
8	განასხვავებს ორთოპედიულ სტომატოლოგიაში გავრცელებულ სხვადასხვა დაავადებებს მათი ეტიოლოგიის, პათოგენეზის, დაზიანების ხარისხისა და ტიპის მიხედვით. ატარებს დიაგნოსტიკურ პროცედურებს ორთოპედიულ სტომატოლოგიაში, რის შედეგადაც ირჩევს შესაბამის კონსტრუქციებს.
9	ირჩევს ადგილობრივი და ზოგადი გაუტკივარების სახეებსა და ჩატარების მეთოდებს. ხსნის და მართავს ადგილობრივი გაუტკივარების შესაძლო გართულებებს.
10	კრებს ანამნეზს, სინჯავს პაციენტს, ავსებს სამედიცინო ბარათს, განსაზღვრავს დამატებითი გამოკვლევების საჭიროებას. ახდენს მიღებული მონაცემების ანალიზს და ინტერპრეტაციას, ახდენს დიფერენციალური დიაგნოზის გატარებას და ადგენს დიაგნოზს. ახდენს ძირითადი კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირებას.
11	განსაზღვრავს და ხსნის სამედიცინო პრაკტიკაში ეთიკური ნორმებისა და სამართლებრივი რეგულაციების გამოყენების მნიშვნელობას. ახდენს სიტყვიერ და წერილობით კომუნიკაციას სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე. აყალიბებს კვლევის დიზაინს, დეტალურად გეგმავს კვლევის პროცესს, ამუშავებს მიღებულ კვლევის შედეგებს და აკეთებს შესაბამის დასკვნებს. მსჯელობს სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიაზე;
12	აფასებს და ასაბუთებს შემდგომი პროფესიული განვითარებისა და დარგში არსებული სიახლეების მუდმივად გაცნობის აუცილებლობას.

პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა

პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 5 აკადემიურ წელს ანუ 10 სემესტრს და მოიცავს 300 კრედიტს (7 500 საათს ჯამში).

1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს.

კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე,

წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს:

- ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტებს 270 კრედიტის მოცულობით. მათ შორის:

  ა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტებს 258 კრედიტის მოცულობით;

  ბ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კომპონენტებს 12 კრედიტის მოცულობით.

- საგანმანათლებლო პროგრამა ასევე ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს 30 კრედიტის მოცულობით, მათ შორის:

  ა) თავისუფალ კომპონენტს 20 კრედიტის მოცულობით, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე;

  ბ) თავისუფალ კომპონენტს 10 კრედიტის მოცულობით, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანთლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა იყოფა 3 ნაწილად:

I ნაწილი - ადამიანის ორგანიზმის სტრუქტურა და ფუნქციები (I-II კურსი)

ზოგადი მედიცინის საფუძვლების ფაზა მოიცავს ბიოსამედიცინო მეცნიერებებისა და ადამიანის ორგანიზმის აგებულება-ფუნქციის შესახებ ძირეულ კონცეფციებს. პირველი ორი კურსის განმავლობაში, სტუდენტები გაეცნობიან ადამიანის სხეულის აგებულებას, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებს და აღნიშნულ სფეროში კვლევის პრინციპებს, კლინიკურ და პროფესიულ უნარებს (კომუნიკაციური და პროცედურული უნარები, სამედიცინო ეთიკა), საზოგადოებრივი ჯანდაცვის საფუძვლებს. აღნიშნული ინტეგრირებული მოდულების სწავლება განხორციელდება სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით (ინტერაქციული ლექციები, როლური თამაშები, პრაქტიკული მუშაობა, სიმულაციურ ცენტრში მეცადინეობა სიმულატორებისა და მანეკენების გამოყენებით და სხვ.). სტუდენტები დაეუფლებიან საკვანძო პრაქტიკულ უნარებს (ფანტომებზე მუშაობა) საფანტომო კლასში. სიმულაციური სწავლების გზით სტუდენტები მიიღებენ გამოცდილებაზე დაყრდნობილ ცოდნას; ასევე კონკრეტული კლინიკური შემთხვევების ვირტუალური დისექციის და მანეკენებზე განხილვის მეშვეობით სტუდენტები შეისწავლიან რეგიონულ ანატომიას. ამასთან, პირველივე კურსიდან სტუდენტები ჩაერთვებიან პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL - problem-based learning) კურსში, რომელსაც გრძივი ხასიათი ექნება. ძირითადი სწავლის სფეროს საფანტომო კურსების დასასრულს, სტუდენტები აბარებენ ინტეგრირებულ გამოცდას (ტესტური კითხვები მრავალარჩევანიანი პასუხებით და OSCE).

II ნაწილი - ჯანმრთელობის და ავადობის მექანიზმები (III-IV კურსი)

მეორე ნაწილი ეთმობა კლინიკურ ნაწილს (პროპედევტიკა და კლინიკური უნარები). აღნიშნული ნაწილი ძირითადად ორიენტირებულია დაავადებათა ყველაზე ხშირ სიმპტომებსა და ნიშნებზე. ამასთან, სტუდენტები სრულყოფენ ფიზიკური გასინჯვის უნარებს. III კურსის განმავლობაში

სტუდენტები სწავლობენ დიაგნოსტიკურ აზროვნებას სხვადასხვა სამედიცინო მიმართულების ქეისების განხილვის გზით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მიღებული ცოდნის ინტეგრირებას და ამზადებს სტუდენტებს კლინიკური სასწავლო კურსების სრულფასოვნად აღქმისაკენ, რომელთა უმეტესობის ინიცირებაც პროგრამაში შემდეგი წლიდან ხდება. IV კურსის განმავლობაში სტუდენტები სწავლობენ კლინიკური როტაციების სახით ძირითად სტომატოლოგიურ და კლინიკურ სასწავლო კურსებს - დერმატოლოგია, პედიატრია, ოტორინოლარინგოლოგია და სხვ. აღნიშნული მოდულების სწავლება ხდება როგორც ამბულატორიულ, ასევე კლინიკურ გარემოში. მეორე ნაწილის უმნიშვნელოვანესი საკითხია ძირითადი სწავლის სფეროს კლინიკური სასწავლო კურსების ჩართვა, რომელთა გავლისას სტუდენტები აგრძელებენ სფეროს მანუალური უნარების და სტომატოლოგიური დაავადებების კლინიკურ სიმპტომატიკის დაუფლებას. უმეტესი კურსების დასასრულს, სტუდენტები აბარებენ ინტეგრირებულ გამოცდას (ტესტური კითხვები მრავალარჩევანიანი პასუხებით და OSCE).

III ნაწილი - ძირითადი სწავლის სფეროს კლინიკური სასწავლო კურსები (V კურსი)

მესამე ნაწილი სწავლის სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი ნაწილია (თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული სტომატოლოგია, ბავშვთა ასაკის თერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგია, ორთოდონტია), კლინიკური სასწავლო კურსების გაგრძელებაა, რომელთა გავლისას სტუდენტები აგრძელებენ პროფესიული უნარების შესწავლას. V დამამთავრებელი კურსის განმავლობაში, სტუდენტებს ექნებათ დამატებითი კლინიკური საქმიანობის შესაძლებლობა, რათა განამტიცონ და სრულყონ კომპეტენციები ძირითად სწავლის სფეროში. გარკვეული როტაციის დასასრულს, სტუდენტები აბარებენ ინტეგრირებულ გამოცდას. ამავე კურსის ფარგლებში, სტუდენტებს ეძლევა სხვადასხვა კლინიკური დავალება, რომელთა შესრულებაც ამზადებს დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს მომავალი სპეციალიზაციისა და დიპლომის შემდგომი სარეზიდენტო პროგრამისათვის.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შეფასების ფორმებით, შუალედური შეფასებით და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი/სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

საბოლოო შეფასებაში დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილია 40% (40 ქულა), შესაბამისად, შუალედური შეფასების ხვედრითი წილია საბოლოო შეფასების 60% (60 ქულა).

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება მე-8-9 კვირაში (კურაციული სწავლების დროს შუალედური გამოცდის პერიოდი დაკონკრეტებულია შესაბამის სასწავლო კურსის სილაბუსში). შუალედური შეფასების კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 50% (დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტის შუალედური შეფასება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 30 ქულას), დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%+1 (იმისათვის, რომ დასკვნითი გამოცდა ჩაითვალოს ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის შეფასება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 21 ქულას).

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით მიიღება 51 ქულა ან მეტი.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი ინტეგრირებული სასწავლო კურსების შემთხვევაში უფლებამოსილია ამავე სასწავლო კურსის შემადგენელ თოთოეულ კომპონენტს დაუდგინოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ამ შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეული კომპონენტისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის, სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

დასაქმების სფერო

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათებლო პროგრამის კურსდამთავრებულს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მოპოვების შემთხვევაში უფლება აქვს განახორციელოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა (საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, მუხლი 7).

საექიმო საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად (მუხლი 17) უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე კურსდამთავრებულს უფლება აქვს განახორცილეოს შემდეგი საქმიანობა:

ა) გაიაროს უმაღლესისშემდგომი პროფესიული მზადების კურსი და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება;

ბ) განახორციელოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა მედიცინის თეორიულ დარგებში ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას;

გ) იმუშაოს უმცროს ექიმად.

სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამაში განხორციელებული ბოლო ცვლილებები

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №მ11-23, 06.09.2023

დამტკიცებულია მმართველოს საბჭოს გადაწყვეტილებით:

დადგენილება №27, 14.09.2023

განათლების საფეხური: ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

სწავლების ენა: ინგლისური

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური, ძირითადი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0911 დენტალური მედიცინა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული სტომატოლოგი / Doctor of Dental Medicine (DMD)

სწავლის ხანგრძლივობა: 5 წელი (10 სემესტრი)

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 300 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. დოქტ. სოფიო სამხარაძე, ელ. ფოსტა: sopho.samkharadze@eu.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი: ასისტ. პროფ. მარიკა ზურმუხტაშვილი. ელ. ფოსტა: marika.zurmukhtashvili@eu.edu.ge

პროგრამის აქტუალობა

დიპლომირებული ექიმი სტომატოლოგის პროფესია ჯანდაცვის სფეროს ერთერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რომელიც ეხება ადამიანის პირის ღრუს ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას, ასევე ცხოვრების ხარისხის ამაღლებას. თანამედროვე მედიცინის ერთ–ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს პაციენტთა უსაფრთხოება. შესაბამისად, დღეს აქტუალურია პრევენციისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების გამოყენება, რისთვისაც საჭიროა მაღალკვალიფიციური კადრების არსებობა, სამედიცინო კადრების დღევანდელი ბაზარი განიცდის შესაბამისი სპეციალისტების დეფიციტს.

თანამედროვე, სწრაფად განვითარებადი მაღალტექნოლოგიური კვლევისა თუ მკურნალობის საშუალებები და სწრაფად განახლებადი სამედიცინო ცოდნა იწვევს დაავადების საწყის ეტაპზე გამოვლენილ პათოლოგიათა რაოდენობისა და მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდას.

ხშირ შემთხვევაში სტომატოლოგიურ კლინიკებსა და კაბინეტებში დასაქმებულ სპეციალისტებს აკლიათ თანამედროვე ცოდნა და გამოცდილება, რაც შესაბამისად აისახება პაციენტის კვალიფიციურ მომსახურებასა და ხარისხზე. პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ აკადემიური განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ხარისხის ამაღლებითა და ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება:

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ევროპის უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია ჩააბაროს შემდეგი საგნები:

ა) ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა (მინიმალური ბარიერი 80%), ბიოლოგია.

ბ) ერთ-ერთი შემდეგი საგანი: ქიმია/მათემატიკა/ფიზიკა. საგნებისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 30%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ინგლისური ენის მინიმუმ B1 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიონალი სტომატოლოგის მომზადება, რომელიც: ფლობს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიულ

ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს (1), რომელიც კვალიფიციურად გამოიყენებს კვლევით, ეთიკურ და კომუნიკაციურ უნარებს (2), პროფესიულად განვითარდება მუდმივად ცვალებად გარემოში (3).

სწავლის შედეგები	
1	აღწერს ადამიანის ორგანიზმის სისტემებს, მის შემადგენელ ერთეულებს, ქსოვილებს, მათ ურთიერთკავშირს, განვითარების თავისებურებებს და ფუნქციებს; განმარტავს ორგანიზმის ანატომიურ, ფიზიოლოგიურ თავისებურებებს და ცოცხალ ორგნიზმში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებს; განიხილავს ორგანიზმს, როგორც ერთიან სისტემას. ამოიცნობს და განასხვავებს ნორმისა და პათოლოგიის შემთხვევებს, განსაზღვრავს პათოლოგიების გამომწვევ მიზეზებს. ასახელებს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს და ხსნის მათი გატარების აუცილებლობასა და მნიშვნელობას.
2	განსაზღვრავს სტომატოლოგიური დანადგარების აგებულებას, ექსპლუატაციის წესებს, სამედიცინო და სტომატოლოგიური მასალების დანიშნულებას, ინსტრუმენტებს, იყენებს მათ. ირჩევს ასეპტიკის, ანტისეპტიკის მეთოდებს და ხსნის მათ მნიშვნელობას სანიტარული და ჰიგიენური ნორმების შენარჩუნებაში. იცავს ჰიგიენურ ნორმებს, ახდენს ნარჩენების მართვას/უტილიზაციას.
3	აღწერს კბილის რბილი და მაგარი ქსოვილების დაავადებების ეტიოლოგიას და პათოგენეზს. ახდენს დიაგნოზის ფორმულირებას, ასევე, დიფერენციალურ დიაგნოსტირებას, რის შედეგადაც, პაციენტის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, არჩევს და ახორციელებს ადეკვატურ, თანამედროვე პროფილაქტიკურ და სამკურნალო ღონისძიებებს.
4	ახდენს პაროდონტის ქსოვილისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებების ინტერპრეტაციას. განსაზღვრავს მათ დიაგნოზს, მათ შორის, დიფერენციალურ დიაგნოზს. აფასებს, ირჩევს და ატარებს თანამედროვე პროფილაქტიკურ და სამკურნალო მანიპულაციებს.
5	ახდენს ყბა-სახის მიდამოს ოდონტოგენური და არაოდონტოგენური ანთებითი დაავადებების, ასევე ნეოპლასტიური ცვლილებების და ტრავმული დაზიანებების შედარებას. რის საფუძველზეც ასაბუთებს კონსერვატიული, ქირურგიული, რეკონსტრუქციული ან აღდგენითი მკურნალობის საჭიროებებს.
6	ახდენს პირის ღრუს ქირურგიული დაავადებების კეტეგორიზაციას. განსაზღვრავს ტრავმულ დაზიანებებს. ეტიოლოგიისა, პათოგენეზის და დიაგნოზის მიხედვით არჩევს შესაბამის მკურნალობის მეთოდებს.
7	ახდენს ყბა-კბილთა სისტემის ანომალიების ინტერპრეტაციას, მათ დიფერენცირებას და დიაგნოსტიკას, განსაზღვრავს ეტიოლოგიურ ფაქტორებს. მიღებული მონაცემების საფუძველზე ირჩევს ორთოდონტიული მკურნალობის ტაქტიკასა და შესაბამის ორთოდონტიულ მოწყობილობებს.

8	განასხვავებს ორთოპედიულ სტომატოლოგიაში გავრცელებულ სხვადასხვა დაავადებებს მათი ეტიოლოგიის, პათოგენეზის, დაზიანების ხარისხისა და ტიპის მიხედვით. ატარებს დიაგნოსტიკურ პროცედურებს ორთოპედიულ სტომატოლოგიაში, რის შედეგადაც ირჩევს შესაბამის კონსტრუქციებს.
9	ირჩევს ადგილობრივი და ზოგადი გაუტკივარების სახეებსა და ჩატარების მეთოდებს. ხსნის და მართავს ადგილობრივი გაუტკივარების შესაძლო გართულებებს.
10	კრებს ანამნეზს, სინჯავს პაციენტს, ავსებს სამედიცინო ბარათს, განსაზღვრავს დამატებითი გამოკვლევების საჭიროებას. ახდენს მიღებული მონაცემების ანალიზს და ინტერპრეტაციას, ახდენს დიფერენციალური დიაგნოზის გატარებას და ადგენს დიაგნოზს. ახდენს ძირითადი კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირებას.
11	განსაზღვრავს და ხსნის სამედიცინო პრაკტიკაში ეთიკური ნორმებისა და სამართლებრივი რეგულაციების გამოყენების მნიშვნელობას. ახდენს სიტყვიერ და წერილობით კომუნიკაციას სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე. აყალიბებს კვლევის დიზაინს, დეტალურად გეგმავს კვლევის პროცესს, ამუშავებს მიღებულ კვლევის შედეგებს და აკეთებს შესაბამის დასკვნებს. მსჯელობს სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიაზე;
12	აფასებს და ასაბუთებს შემდგომი პროფესიული განვითარებისა და დარგში არსებული სიახლეების მუდმივად გაცნობის აუცილებლობას.

პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა

პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 5 აკადემიურ წელს ანუ 10 სემესტრს და მოიცავს 300 კრედიტს (7 500 საათს ჯამში).

1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს.

კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს:

- ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტებს 270 კრედიტის მოცულობით. მათ შორის:

ა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტებს 258 კრედიტის მოცულობით;

ბ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კომპონენტებს 12 კრედიტის მოცულობით.

- საგანმანათლებლო პროგრამა ასევე ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს 30 კრედიტის მოცულობით, მათ შორის:

  ა) თავისუფალ კომპონენტს 20 კრედიტის მოცულობით, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე;

  ბ) თავისუფალ კომპონენტს 10 კრედიტის მოცულობით, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანთლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა იყოფა 3 ნაწილად:

I ნაწილი - ადამიანის ორგანიზმის სტრუქტურა და ფუნქციები (I-II კურსი)

ზოგადი მედიცინის საფუძვლების ფაზა მოიცავს ბიოსამედიცინო მეცნიერებებისა და ადამიანის ორგანიზმის აგებულება-ფუნქციის შესახებ ძირეულ კონცეფციებს. პირველი ორი კურსის განმავლობაში, სტუდენტები გაეცნობიან ადამიანის სხეულის აგებულებას, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებს და აღნიშნულ სფეროში კვლევის პრინციპებს, კლინიკურ და პროფესიულ უნარებს (კომუნიკაციური და პროცედურული უნარები, სამედიცინო ეთიკა), საზოგადოებრივი ჯანდაცვის საფუძვლებს. აღნიშნული ინტეგრირებული მოდულების სწავლება განხორციელდება სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით (ლექციები, როლური თამაშები, პრაქტიკული მუშაობა, სიმულაციურ ცენტრში მეცადინეობა სიმულატორებისა და მანეკენების გამოყენებით და სხვ.). სტუდენტები დაეუფლებიან საკვანძო პრაქტიკულ უნარებს (ფანტომებზე მუშაობა) საფანტომო კლასში. სიმულაციური სწავლების გზით სტუდენტები მიიღებენ გამოცდილებაზე დაყრდნობილ ცოდნას; ასევე კონკრეტული კლინიკური შემთხვევების ვირტუალური დისექციის და მანეკენებზე განხილვის მეშვეობით სტუდენტები შეისწავლიან რეგიონულ ანატომიას. ამასთან, პირველივე კურსიდან სტუდენტები ჩაერთვებიან პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL - problem-based learning) კურსში, რომელსაც გრძივი ხასიათი ექნება. ძირითადი სწავლის სფეროს საფანტომო კურსების დასასრულს, სტუდენტები აბარებენ ინტეგრირებულ გამოცდას (ტესტური კითხვები მრავალარჩევანიანი პასუხებით და OSCE).

II ნაწილი - ჯანმრთელობის და ავადობის მექანიზმები (III-IV კურსი)

მეორე ნაწილი ეთმობა კლინიკურ ნაწილს (პროპედევტიკა და კლინიკური უნარები). აღნიშნული ნაწილი ძირითადად ორიენტირებულია დაავადებათა ყველაზე ხშირ სიმპტომებსა და ნიშნებზე. ამასთან, სტუდენტები სრულყოფენ ფიზიკური გასინჯვის უნარებს. III კურსის განმავლობაში სტუდენტები სწავლობენ დიაგნოსტიკურ აზროვნებას სხვადასხვა სამედიცინო მიმართულების ქეისების განხილვის გზით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მიღებული ცოდნის ინტეგრირებას და ამზადებს სტუდენტებს კლინიკური სასწავლო კურსების სრულფასოვნად აღქმისაკენ, რომელთა უმეტესობის ინიცირებაც პროგრამაში შემდეგი წლიდან ხდება. IV კურსის განმავლობაში სტუდენტები სწავლობენ კლინიკური როტაციების სახით ძირითად სტომატოლოგიურ და კლინიკურ სასწავლო

კურსებს - დერმატოლოგია, პედიატრია, ოტორინოლარინგოლოგია და სხვ. აღნიშნული მოდულების სწავლება ხდება როგორც ამბულატორიულ, ასევე კლინიკურ გარემოში. მეორე ნაწილის უმნიშვნელოვანესი საკითხია ძირითადი სწავლის სფეროს კლინიკური სასწავლო კურსების ჩართვა, რომელთა გავლისას სტუდენტები აგრძელებენ სფეროს მანუალური უნარების და სტომატოლოგიური დაავადებების კლინიკურ სიმპტომატიკას დაუფლებას. უმეტესი კურსების დასასრულს, სტუდენტები აბარებენ ინტეგრირებულ გამოცდას (ტესტური კითხვები მრავალარჩევანიანი პასუხებით და OSCE).

III ნაწილი - ძირითადი სწავლის სფეროს კლინიკური სასწავლო კურსები (V კურსი)

მესამე ნაწილი სწავლის სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი ნაწილია (თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული სტომატოლოგია, ბავშვთა ასაკის თერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგია, ორთოდონტია), კლინიკური სასწავლო კურსების გაგრძელებაა, რომელთა გავლისას სტუდენტები აგრძელებენ პროფესიული უნარების შესწავლას. V დამამთავრებელი კურსის განმავლობაში, სტუდენტებს ექნებათ დამატებითი კლინიკური საქმიანობის შესაძლებლობა, რათა განამტიცონ და სრულყონ კომპეტენციები ძირითად სწავლის სფეროში. გარკვეული როტაციის დასასრულს, სტუდენტები აბარებენ ინტეგრირებულ გამოცდას. ამავე კურსის ფარგლებში, სტუდენტებს ეძლევა სხვადასხვა კლინიკური დავალება, რომელთა შესრულებაც ამზადებს დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს მომავალი სპეციალიზაციისა და დიპლომისშემდგომი სარეზიდენტო პროგრამისათვის.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შეფასების ფორმებით, შუალედური შეფასებით და დასკვნითი შეფასებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი/სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

საბოლოო შეფასებაში დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილია 40% (40 ქულა), შესაბამისად, შუალედური შეფასების ხვედრითი წილია საბოლოო შეფასების 60% (60 ქულა).

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება მე-8-9 კვირაში (კურაციული სწავლების დროს შუალედური გამოცდის პერიოდი დაკონკრეტებულია შესაბამის სასწავლო კურსის სილაბუსში). შუალედური შეფასების კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 50% (დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტის შუალედური შეფასება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 30 ქულას), დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%+1 (იმისათვის, რომ დასკვნითი გამოცდა ჩაითვალოს ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის შეფასება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 21 ქულას).

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით მიიღება 51 ქულა ან მეტი.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი ინტეგრირებული სასწავლო კურსების შემთხვევაში უფლებამოსილია ამავე სასწავლო კურსის შემადგენელ თოთოეულ კომპონენტს დაუდგინოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ამ შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეული კომპონენტისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის, სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული

მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

დასაქმების სფერო

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათებლო პროგრამის კურსდამთავრებულს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მოპოვების შემთხვევაში უფლება აქვს განახორციელოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა (საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, მუხლი 7).

საექიმო საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად (მუხლი 17) უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე კურსდამთავრებულს უფლება აქვს განახორციელეოს შემდეგი საქმიანობა:

ა) გაიაროს უმაღლესისშემდგომი პროფესიული მზადების კურსი და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება;

ბ) განახორციელოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა მედიცინის თეორიულ დარგებში ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას;

გ) იმუშაოს უმცროს ექიმად.

ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამაში განხორციელებული ბოლო ცვლილებები

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №მ12-23, 12.09.2023

დამტკიცებულია მმართველოს საბჭოს გადაწყვეტილებით:

დადგენილება №29, 14.09.2023

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური / ძირითადი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0313 ფსიქოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრი / Bachelor of Psychology

სწავლის ხანგრძლივობა: 8 სემესტრი

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: აფილირებული ასოც. პროფ. დოქტორი ლაშა ხოჯანაშვილი, ელ. ფოსტა: khojanashvili.lasha@eu.edu.ge

პროგრამის თანახელმძღვანელი: აფილირებული ასისტ. პროფ. ბაია კუბლაშვილი, ელ. ფოსტა:kublashvili.baia@eu.edu.ge

პროგრამის აქტუალობა

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა გაზრდილია იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ ამ დარგის სპეციალისტები სჭირდებათ როგორც საჯარო დაწესებულებებში, მათ შორის განათლების, პენიტენციალური, თავდაცვის, ჯანდაცვის და ა.შ. სისტემაში, ასევე, კერძო და არასამთავრობო სექტორში, მედიაში, საერთშორისო ფონდებში და სხვ.

ჩატარებული კვლევების მიხედვით, ფსიქოლოგებზე მოთხოვნის ზრდას განაპირობებს განათლების სფეროში მიმდინარე ახალი პროექტები, მათ შორის, მასწავლებელთა გადამზადების, ინკლუზიური განათლების, ზოგადად, განათლების ახალი თეორიების იმპლემენტაცია. გაზრდილია მოთხოვნა ჯანდაცვის ფსიქოლოგიის მიმართულებით, სადაც კურსდამთავრებულებს შეუძლიათ მუშაობა კლინიკებში, ამბულატორიებში. ფსიქოლოგი საჭიროა ყველგან, სადაც კი არსებობს საჭიროება, აღმოჩენილ იქნას ბავშვთა და მოზარდთა განვითარების შეფერხებების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კლიენტთა ფსიქოლოგიური დახმარება. ფსიქოლოგებზე მოთხოვნა გაიზარდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორებიცაა სკოლა და ბაღი, ასევე პროფესია მოთხოვნადია

დღის ცენტრებში. ფსიქოლოგიის პროფესია აქტუალურია სოციალური კვლევების მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებში.

საინტერესოა ფსიქოლოგიის განვითარება კორპორატიული, საკონსულტაციო, მარკეტინგული, საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც. საარჩევნო სისტემაში, პოლიტიკური პიარის, იმიჯისა და სხვა შედარებით ახალი ურთიერობების საკვლევად და რეალობასთან მათი ჰარმონიზაციისათვის. დარგის სპეციალისტები აქტუალურია ორგანიზაციული მართვისა და მენეჯმენტის რგოლში, ასევე პერსონალის შერჩევის მიმართულებითაც.

სწორედ ამიტომ, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა საფუძველს ქმნის კურსდამთავრებულის ინტერესის დასაკმაყოფილებლად, იმისთვის რომ იგი მზად შეხვდეს პრაქტიკულ საქმიანობას და შეძლოს დარგში განვითარება საკუთარი ინტერესის გათვალისწინებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ევროპის უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, ერთ-ერთი უცხოური ენა (ინგლისური ენა, რუსული ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა), ერთ-ერთი შემდეგი საგანი: ისტორია/მათემატიკა/ბიოლოგია (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი).

თითოეული საგნისათვის (ისტორია/მათემატიკა/ბიოლოგია) განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 10%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის მიზნები

ევროპის უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ადგილობრიივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, სათანადო ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ:

(1) თანამედროვე ცოდნას ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარების ისტორიის, ძირითადი თეორიული მიმდინარეობებისა და ემპირიული მიგნებებების შესახებ.

(2) ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე ფსიქოლოგიის როგორც მეცნიერებისათვის საჭირო ძირითადი კვლევის მეთოდების გააზრებისა და კვლევის აკადემიური და ეთიკური სტანდარტების გათვალისწინებით მათი გამოყენების უნარს, ასევე, კვლევის შესაბამისი დიზაინის შემუშავების, მონაცემთა ანალიზისა და შედეგების ინტერპრეტაციის უნარს.

(3) 21-ე საუკუნისათვის მნიშვნელოვან ისეთ უნარებს, როგორიცაა: თანამშრომლობა, ჯგუფში მუშაობა, კრეატიულობა, კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაწყვეტა.

სწავლის შედეგები

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე დონეს (უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - ბაკალავრიატი) და უზრუნველყოფს კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული სასწავლო კურსების წარმატებით დასრულება უზრუნველყოფს დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების ჩამოყალიბებას. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ კომპეტენციებს:

1) კურსდამთავრებული აყალიბებს ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, საგანსა და ამოცანებს, ძირითად ცნებებს, განვითარების ეტაპებსა და ძირითადი მიმართულებებს;

2) კურსდამთავრებული ახდენს ფსიქოლოგიის სხადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის განზოგადებას, სისტემატიზაციასა და ამთლიანებს მას ფსიქოლოგიის ძირითადი კატეგორიების გარშემო;

3) კურსდამთავრებული წინასწარ განსაზღვრული მითითებების საფუძვლეზე გეგმავს მცირე მასშტაბიან კვლევას, არჩევს სამიზნე ჯგუფებს, ახდენს ინტერვიუირებას, მონაცემთა დაჯგუფებას, დამუშავებას, შედეგების აღწერას, ანგარიშისა და კვლევითი პროექტის გაფორმებას;

4) კურსდამთავრებული სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვრავს და აფასებს ადამიანის ქცევითი აქტივობის განმაპირობებელ, დისპოზიციურ და სიტუაციურ აღმძვრელებს;

5) კურსდამთავრებული აყალიბებს სათანადო დასკვნებს რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე;

6) კურსდამთავრებულს ახდენს კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარის დემონსტრირებას, რთულად კონსტრუირებული პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭირო კრიტიკულ აზროვნებსაა და კრეატიულობას;

7) კურსდამთავრებული აფასებს სოციალურ გარემოში წარმოქმნილი პრობლემურ სიტუაციას, აყალიბებს დასკვნას და იღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას;

8) კურსდამთავრებული იცავს პროფესიული საქმიანობის შესრულებისათვის საჭირო პროფესიულ პასუხისმგებლობას, ეთიკის ნორმებსა და სტანდარტებს.

პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს ანუ 8 სემესტრს და მოიცავს 240 კრედიტს;

ერთი კრედიტი (ECTS) – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (სტუდენტის დატვირთვის) 25 საათს და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე, დამოუკიდებელ საათებს.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტი, თუმცა, სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, კრედიტების რაოდენობა აკადემიური წლის განმავლობაში შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას.

ერთი აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს 42 კვირას, ერთი სემესტრი 21 კვირას, მათ შორის 15 კვირა არის სასწავლო, დანარჩენი 6 კვირა კი სასესიო. მე-8 და მე-9 კვირა ეთმობა შუალედურ გამოცდას, მე–18 და მე–19 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდია, ხოლო მე–20 და 21-ე კვირა დამატებითი გამოცდების პერიოდი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედია დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღე.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, აქედან:

- თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე - 34 კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 140 კრედიტი, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი და პრაქტიკის კომპონენტი - 10 კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი
- თავისუფალი არჩევითი კომპონენტი, რომლის არჩევაც შესაძლებელია უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, დაშვების წინაპირობების დაცვით - 36 კრედიტი

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მისაღები კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“, რომელიც ითვალისწინებს:

ა) ხუთ სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი –91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი –81-90 ქულა;

გ) (C) კარგი –71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი –61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი –51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა –41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა –40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღე.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაშიც თუ მან გადალახა საბოლოო დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი (51 ქულა), მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდის მინიმალური ბარიერი.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

კრედიტის მინიჭება შესაძლებელია თუ სტუდენტის მიერ მიღებული შედეგი აკმაყოფილებს პირობებს:

ა) გადალახა დასკვნითი შეფასების მინიმალური ბარიერი;

ბ) მოაგროვა საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულა.

შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 50% (30 ქულა), ხოლო დასკვნითი გამოცდის - 50%+1.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, რომელიც მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს.

დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსისთვის და შეადგენს საერთო შეფასების 40 %-ის (პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის შემთხვევაში შესაძლებელია ქულათა განსხვავებული განაწილება).

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დასაქმების სფერო

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ განათლების, პენიტენციალურ, თავდაცვის, ჯანდაცვის და ა.შ. სისტემაში. ასევე, კერძო და არასამთავრობო სექტორში, მედიასა და საერთშორისო ფონდებში, კვლევით ორგანიზაციებში და სხვა. პროგრამის დასრულების შემდეგ კუსდამთავრებულმა შესაძლოა დაიკავოს ფსიქოლოგის პოზიცია ნებისმიერ ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში (მათ შორის: სკოლის ფსიქოლოგის, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგის, დღის ცენტრის ფსიქოლგის პოზიცია და სხვა). პროგრამის კურსდამთავრებული ასევე შესაძლებელია დასაქმდეს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, თერაპევტის (ქცევითი, აკადემიური, სენსურული, მეტყველების და სხვა კუთხით სპეციალიზირებული), მკვლევარის, ტრენერის, სხვადასხვა სპეციალიზირებული მიმართულებით კონსულტანტის პოზიციებზე.